



მამუკა ცუხიშვილი

დასავლეთ საქართველოს უკანასკნელი კათალიკოსი

წინამდებარე წერილი ეძღვნება XVIII საუკუნის II ნახევრის დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოში მიმდინარე პროცესებს, რომელიც არაერთხელ გახდა ისტორიის განსჯის საგანი; კერძოდ, მიმოხილულია კათალიკოს მაქსიმე აბაშიძის ელჩობა, რომელიც ორჯერ შედგა რუსეთში.

დაახლოებით 1784 წელს, მას შემდეგ, რაც მაქსიმე II აბაშიძე რუსეთს გაემგზავრა, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლად არჩეულ იქნა ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზი, რომელიც ატარებდა ტიტულს — „ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოზოსი“.

აქვე წარმოდგენილია ფაქტობრივი მასალა და კომენტარები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

უადრესად საინტერესოა აწ განსვენებული მეცნიერის, თსუ პროფესორის ვალერიან მაჭარაძის მიერ მოძიებული იმერეთის მეფის სოლომონ I-ის სიგელი რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სადმი იმერეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში მიღების შესახებ.

„...შეწყალებისა და მოწყალებისა მთხოველი სამსა სავედრებელსა სიტყვასა განვფენ წინაშე დედობრივისა ყოვლად მოწყალისა თქვენისა: პირველად, რათა გამომიხსნა უცხოთესლთა, ოსმანთა, ხელთაგან და ყოვლად ძლიერი ხელი დასდვა ჩვენზედა და ქვეყანასა და ერსა ჩვენსა ზედა, და საუკუნოდ მონად, მსახურებად და საიმპერიოდ აღგვრაცხნე: და ესე უმეტეს სხვათასა ტრფიალებით საწადელ არს ჩემდა, ძლიერო ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემართო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ჟამითგან მსურის, რადთამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემული-

სა სჯულისათვის და თუმცა ყოვლად მოწყალე ხელმწიფე ინებებს და დაგვდებს ძლიერსა ხელსა თვისსა, მეც ამ აღთქმას მოვახსენებ ქრისტეს შეწევნით, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოების და სჯულისათვის ყოვლად მოწყალე ხელმწიფის სამსახურზე უცხო თესლთა ოსმალთა შევაკდეს და ვიდრე სისხლთა დათხევადმდე ხელმწიფის სამსახურზე ვიდგაწო. ათორმეტი წელიწადი არის, რომ ზვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს. და შვიდჯერ ჩემს ქვეყანაში შემოსულან ამათი სარასკრები ფაშები, ტყვის ხარაჯა და ტყვე უთხოვიათ, და რომ არ მიმიცია, ზამთარ და ზაფხულ ომი გვექონებია ძლიერი. ქრისტეს შეწევნითა და ყოვლად მოწყალის ხელმწიფის წყალობითა, ყოველთვის დამარცხებიათ და სირცხვილეულნი წარსულან და თვით ხელითა ჩემითაცა მრავალნი მომისრავს; რომელიმე ჩემი ციხეები აიღეს და ისევ დავაგდებინე, გავეყარე და ახლა ჩემი ქვეყანა მევე მიჭირავს. და უკეთუ ესე არ ინებოს, მეორედ: სახიერებისა, წყალობისა და მადლისათვის აქავე განგვაძტვიცოს ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ სახმართა და შეწვენათა მიერ, რომ ჯარის მიცემა შევიძლოთ და მით უძლოთ წინააღმდეგობად ოსმანთა, რამეთუ ჩვენ სახმართაგან ფრიად ნაკლულევან ვართ. მესამე: მტერნი ჩვენნი მაჰმადიანნი, ოსმანნი, ფრიად უძლიერეს ჩვენსა არიან, უკეთუ ცოდვათა ჩვენთათვის ვერღარა უძლოთ წინააღმდეგობად, ყოვლად მოწყალე ხელმწიფემ შეგვიწყნაროს საიმპერიოსსა თვისსა, ვითარცა შეუწყნარებია სხვანი მეფენი, რადთა მართლმადიდებლობით ვმსახურებდეთ მონათა თვისთა თანა, და რომელიცა ინებოს ყოვლად მოწყალის ხელმწიფის გონებისა სიწმიდის და შეწყალების ცამან, ვგრეთ განაგოს. სხვა ჩვენი გულის სიტყვა და განზრახვა ჩვენის ქუთათელ მიტროპოლიტისა მაქსიმეს მიერ მოხსენდეს...“¹.

არაგვისთვის უცხო და გასაკვირი არ უნდა იყოს იმერეთის მეფის ასეთი ამაღელვებელი და გულმზურვალე წერილი რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სადმი, მაშინ, როდესაც მთელს დასავლეთ საქართველოს უკიდურესად უჭირდა. აქ მთელი სისავსითა და გულისტკივილით არის აღწერილი იმერეთის (ანუ დასავლეთ საქართველოს) მდგომარეობა ოსმალთა უღელქვეშ. ქუთათელ მიტროპოლიტს მაქსიმე აბაშიძეს ბედმა არგუნა წმიდა სოლომონ I-თან ერთად ეღვაწა სამშობლოსა და ეკლესიის გადარჩენისათვის, რასაც ეს წერილიც ადასტურებს.

¹ ვალერიან მაჭარაძე, მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. 3, ნაკვ. I, თბ., 1988. გვ. 274-276.

ასევე მეტად საინტერესოა რუისის მიტროპოლიტის იოანეს სარ-წმუნო ცნობები კათალიკოს მაქსიმე II აბაშიძის შესახებ. მისი წიგნის „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“² სქოლიოში ვკითხულობთ:

„უწმინდესის ს. პ. ბ. სინოდისა საქმეთაგან (1769 წლის № 795) ჰსჩანს, რომ კათოლიკოსი იმერეთისა მაქსიმე, მეფისა სოლომან I-გან წარგზავნილი დესპანად მივიდა ს. პეტერბურღს 1769 წელსა მარტის 9 დღესა. – დესპანობითა ამით სწადდა მეფესა დიდსა სოლომონს, რათა მოჰსცენ რუსთა ჯარი საბრძოლველად პირისპირ თურქთა, რომელთაცა ეპყრათ დროთა ამათ იმერეთი, გურია და თვით ოდიშიცა, და აქუნდათ ბრძოლა რუსეთისა თანა. ესრეთისა დესპანობისა ძალითა წარმოვიღინა 1770 წელსა ტოტლებენი და შეერთდა მეფისა ჯარსა ქალაქსა ქუთაისს.

შემდგომად გარდაცუალებისა მეფისა სოლომონისა, მაქსიმე კათოლიკოსი კუალადვე იქმნა წარვლენილ რუსეთსა დესპანად იმერთა მეფისა დავითისაგან, რათა ითხოვოს კუალად შეწევნა პირის-პირ თურქთა. კათოლიკოსსა მაქსიმეს თანაჰყუა ჟამთა ამათ მეფისავე ბრძანებითა თავადი ზურაბ წერეთელი. ზურაბ წერეთელი უკან-მოიქცა; ზოლო კათოლიკოსი მაქსიმე სნეულებისა-გამო დაჰშთა მოზდოკსა. აქედამ წარგზავნა იმპერატრიცასთან აზრაი, რათა ნება-ჰსცენ რუსეთსა დაჰშთენისა. ბრძანებითა იმპერატრიცისა კატერინა I-სა თანახმად სურვილისა დაჰშთა რუსეთსა (საქმე 1787 წლის № 305) და აღირჩია საცხოვრებლად ვისოკოპეტროვის მონასტერი მოსკოვისა. მოზდოკიდან წარვიდა მოსკოვს 17 იანვარს 1788 წელსა ასტრახანის გზით. მისრული ასტრახანს სნეულ-იქმნა და ამისთვის არზით მარტის 28 აცნობა სინოდსა დაშთომა თვისი მუნ შესასუენებლად განკურნებადმდე. მაისის 9 წარვიდა ასტრახანით და მივიდა მოსკოვისა ქალაქსა ივნისის 8.

უწმინდესის სინოდის ნება-დართვითა, ჟამსა საღმრთოისა მსახურებისა ხმარობდა მიტრასა ჯურით დაგვირგვინებულსა. და მოიხ-

² იონა გედევანიშვილი (1737-1821), 1756 წელს რუსეთში გაჰყვა თავის მასწავლებელს ანტონ I-ს. მოსკოვიდან დაბრუნებული აკურთხეს მცხეთის ჯვრის არქიმანდრიტად, 1885 წლიდან კი რუისის მიტროპოლიტი იყო.... მერე ცხოვრება აერია, ერეკლე II-ს დაუპირისპირდა და ეპარქიაც ჩამოართვეს. მროველის ხარისხით მოიარა ახლო აღმოსავლეთი და ევროპა, იმოგზაურა პალესტინაში, ათონზე.... მოღვაწეობდა რუსეთის კარზე როგორც მეცნიერი, მკვლევარი, წიგნების გამომცემელი, დიპლომატი და, შესაბამისად, რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის ბრძანებით, დაენიშნა უმაღლესი პენსია და სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც აღესრულა კიდევც. აღნიშნული ციტატა იბეჭდება მეორედ, პირველად ის დაიბეჭდა 1852 წელს, დასახელებულ წიგნში.

სენებოდა „ყოვლად-სამღუდელოდ იმერეთისა კათოლიკოსად“ და დაუნიშნეს მას ხარისხი იერარხთა შემდგომად მეორისა კლასისა წინარე მესამისა. ხოლო უპირატესობა დაჰშთათ სინოდისა წევრთა, თუმცადა ყოფილ-იყუნენ ესენი მესამისა კლასისა ეპისკოპოსნი.

სვიტასა მისსა შინა იყუნენ:

1) არხიმანდრიტი დიონოსი, 55 წლისა, გუარით იმერელი. ერისკაცობისა სახელი იყო დავით და ბერად აღკუეცილი გელათის მონასტერსა კათალიკოსის იოსების კურთხევით და არხიმანდრიტისა ხარისხსა აღყუანილი 1783 წელსა კათალიკოსის მაქსიმესაგან.

2) ილუმენი ანტონი 50 წლისა, ძე თავადი ბორის (?) აბაშიძისა. აღკუეცილი ბერად ქუთაისს მეფისა სასახლის ღუთის-შშობლის მიძინების ეკკლესიაში. ერისკაცობაში ერქუა მას როსტომ და იყო ღუიძლი ძმა თვით კათალიკოსისა მაქსიმესი.

3) ევთიმი ვასილის ძე იოსელიანი, რომელიც სინოდისა ნებართვითა ეკურთხა მისდა არხიდაკონად კიევისა ქალაქსა (საქმე სინოდისა 1793 წლისა № 310).

მოსკოვს მოიწადა თხოვისა წარვლენა წინაშე იმპერატრიცისა, რათა ნება-ჰსცენ და წავიდეს ასტრახანს საცხოვრებლად, 28 დეკემბერსა 1789 წელსა აღუსურულდა თხოვა თვისი და 15 ნოემბერს³ მასვე წელსა მივიდა ასტრახანს და მუნ მისცეს სადგური ღუთაებისა მონასტერში.

შემდგომად ითხოვა იერუსალიმსა და ათონის მთასა წარსული-სა ნება და იმპერატრიცამ 1 მაისს 1792 წელს ბრძანა კეთილ-ნებობა თვისი.

მისრული ასტრახანიდამ კიევსა ნოემბრისა თთუესა, მოხუცებისა გამო და სნეულებისა ვერდა წარვიდა პალესტინედ და ჰსცხოვრებდა კიევი-პეჩერის ლავრაში. აქა 30 მაისს 1795 წელსა გარდაიცუალა და დაასაფლავეს მასვე ლავრასა შინა სამუელმან კიევის მიტროპოლიტმან⁴.

როგორც ციტატიდან ნათლად ჩანს, იმერეთის უკანასკნელი კათალიკოსი მაქსიმე მეტად დაფასებული და პატივდებული სასულიერო პირი ყოფილა რუსეთის როგორც სამეფო კარზე, ისე საეკლესიო წრეში.

მეტად საინტერესოა ხელნაწერთა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის, აწ განსვენებული მკვლევარის, შალვა ბურჯანაძის შე-

³ აქ თარიღი შეცდომით არის მოცემული.

⁴ „მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“, თფილისი, 1852. გვ. 139-141.

ფასება იმერეთის ეკლესიის მეთაურის მოღვაწეობისა: „მაქსიმე აბაშიძე მარჯვედ ედგა გვერდში სოლომონ პირველს მაჰმადიანობის წინააღმდეგ ბრძოლისა და იმერეთის სამეფოს ძლიერების საქმეში. იგი, ჯერ როგორც მიტროპოლიტი და შემდეგ კათალიკოსი, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ტყვის სყიდვის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან, როგორც სოლომონის ელჩმა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმერეთისათვის რუსეთის სამხედრო დახმარების მოსაპოვებლად 1768-1774 წლების ომში. მაქსიმემ ბევრი გააკეთა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გასაერთიანებლად; მისი თაოსნობით მიღწეულ იქნა 1780-იან წლებში ოდიშის საეპისკოპოსოების დამორჩილება იმერეთის კათალიკოსისადმი. ბოლოს, მოხუცებულობისას, რუსეთში განაგრძობდა დიპლომატიურ მოღვაწეობას და იქვე აღესრულა 1795 წლის 30 მაისს“.⁵

ამავე აზრისაა პოლიევექტოს კარბელაშვილიც (1855-1936), უბრალოდ, მას მაქსიმეს გარდაცვალების თარიღი ეშლება და ნაცვლად 1795 წლისა, 1796 წლის 30 მაისს ასახელებს.⁶

„1759 წელს ქუთაისში მეფე სოლომონ დიდის ბრძანებით და ბესარიონ კათალიკოსის თაემჯდომარეობით მოხდა საეკლესიო კრება, რომელმაც აღადგინა გაუქმებული სამიტროპოლიტო კათედრა და მაქსიმე დასვა ქუთათელად. მიტროპოლიტობაში შეხვდა მაქსიმეს (1768) რუსეთში წასვლა ელჩად. რუსის მეფემ მაქსიმე დიდი სიხარულით მიიღო.“

როცა იოსებ კათალიკოსი, ძმა სოლომონ დიდისა, გარდაიცვალა 1776 წელს, მის ადგილზე აირჩიეს მაქსიმე. კათალიკოსობდა მეორედ რუსეთში წასვლამდე (1784 წ.). მაქსიმე ნამდვილი მამა იყო ერისა, კაცი მზნე და განსწავლული, სიმაართლის მოყვარე და გაბედული“. ასე ახასიათებს აქტიური საეკლესიო მოღვაწის პიროვნებას მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე.⁷

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს მაქსიმეს საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან, მან დაგმო მეფისწულის ალექსანდრეს მეორედ ქორწინება, რის გამოც მეფესთან მოუვიდა უთანხმოება, იმერეთიდან გააძევეს და თავშესაფარი ჰპოვა აღმოსავლეთ საქართველოში.

ამ ფაქტებთან დაკავშირებით, ბურნაშოვი, ზოჯა იოვანე და ს.

⁵ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960, გვ. 94.

⁶ იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თფ., 1900, გვ. 167.

⁷ გაზ. „შინაური საქმეები“, თბ., 1913, № 8.

კაკაბაძე ერთმანეთისგან განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან, მაგრამ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ მაქსიმე II აბაშიძე სოლომონ I იმერთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს, დაბრუნდა იმერეთში, იმერეთის მეფის დავით II-ის⁸ თხოვნით და იმავე წლის ბოლოს ზურაბ წერეთელთან და დავით კვინიხიძესთან ერთად საგანგებო დავალებით მიაგვლინეს რუსეთის იმპერატორთან (მეორე და უკანასკნელი ელჩობა).

გარკვეულ მიზეზთა გამო ელჩობა რუსეთში ორი წელი დარჩა. ზურაბ წერეთელი და დავით კვინიხიძე სამშობლოში დაბრუნდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსმა მაქსიმემ რუსეთში დარჩენა არჩია.

1769 წლის, ანუ პირველი ელჩობა იმერეთისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა. კერძოდ, ქუთათელმა მიტროპოლიტმა მაქსიმემ რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას წარუდგინა არგუმენტირებული წერილი ელჩობის მიზნებისა და მიზეზების შესახებ. საპასუხოდ მაქსიმემ სოლომონ I-ს ჩამოუტანა რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის წერილი, რომელშიც იგი იმერეთის მეფეს თანადგომას უცხადებდა და ოსმანთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას სთავაზობდა; ასევე ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ისადმი თანაგრძნობით აღსაესე წერილები პანინისა; ამასთან, რუსეთის მხრიდან დახმარების აღმოჩენამდე, მეფეს სპეციალური დავალებით აღჭურვილი, საიმპერატორო კარზე მოღვაწე, ეროვნებით ქართველი ანტონ მოურავოვი აახლეს.

1787 წელს იმერეთის მეფემ დავით II-ემ რუსეთს კვლავ მიაგვლინა ელჩობა პოეტისა და დიპლომატის ბესიკ ზაქარიას ძე გაბაშვილის (1750-1791 წწ.) მეთაურობით. ბესიკი ჩავიდა ჯერ მოზდოკში, სადაც შეხვდა დასავლეთ საქართველოს ყოფილ კათალიკოსს⁹ მაქსიმეს, რომელმაც გაუკეთა ორგანიზება მის შეხვედრას გრაფ პოტიომკინთან.

რუსეთში დარჩენის მიზეზი მაქსიმე აბაშიძისა, რომელიც თავს „პონტო-ჩრდილოეთ, აფხაზ-იმერთა და ყოვლისა ქვემოდა ივერიის კათალიკოს-მამამთავრად“¹⁰ მოიხსენიებდა, გარდა საიმპერატორო

⁸ 1755-1795; მეფობდა 1784-1789, 1790 წლებში.

⁹ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რატომ მოვიხსენებთ მაქსიმეს 1784 წლიდან „ყოფილ კათალიკოსად“... არსებობს მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომელთაც ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ წერეთელი, ჯერ კიდევ 1781 წლიდან, ხელს აწერს შემდეგი ტიტულატურით: „ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოზ და განმგე საკათალიკოსო“.

¹⁰ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები, თბ., 2000, გვ. 171.

კარისა და საეკლესიო წრის მხრიდან მისი გულთბილი მიღებისა, ის გულგატეხილობაც უნდა ყოფილიყო, რომელიც მან ტახტიდან გადაყენებისა და იმერეთიდან გაძევების გამო განიცადა. როგორც აღვნიშნეთ, გაძევებულმა თავშესაფარი აღმოსავლეთ საქართველოში პოვა და იმერეთში მხოლოდ სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ, 1784 წელს დაბრუნდა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ იმათი მხრიდან, რომელნიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის კიდევ უფრო დასაძაბავად დაუღალავად „იღვწიან“, იმის მცდელობაც იყო, რომ მაქსიმეს რუსეთში დარჩენა არა მისი გადაწყვეტილებით, არამედ იმპერიის ხელისუფლების მხრიდან ძალდატანებით აეხსნათ, მაგრამ, როგორც ამაში მკითხველი თავდაც დარწმუნდებოდა, ამგვარი ბრალდება რუსეთის როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების მიმართ სრულიად უსაფუძვლოა და კრიტიკას ვერ უძლებს.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცნობილი მკვლევარის, ბაბილინა ლომინაძის მიხედვით, თუმცა აბაშიძის კათალიკოსობა, მთლიანობაში 1776-1795 წლებს მოიცავს, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ სამი წელი გაძევებაში გაატარა, ხოლო ბოლო 11 წელი რუსეთის იმპერიაში (1784-1795), პრაქტიკულად დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თვითონ მხოლოდ ხუთიოდე წლის განმავლობაში მართავდა. დანარჩენ წლებში დასავლეთის ეკლესიას სათავეში ქუთათელი მიტროპოლიტი, აწ უკვე წმინდანად შერაცხული, დოსითეოზი (წერეთელი) ედგა.¹¹ მიუხედავად ამისა, მაქსიმე აბაშიძემ სწორი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანითა და მხნე, დაუღალავი მონაწილეობით კეთილი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის ისტორიაში.

¹¹ მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, ბ. ლომინაძე, თბ, 1954, გვ. 38.